# FungiGrund

მიკრობიოციდის წყალხსნარი, დაბინძურებული ზედაპირების წინასწარი დამუშავებისა და დაგრუნტვისათვის.

## პროდუქტის აღწერა

**გამოყენების სფეროები**

გამოიყენება წყალმცენარეებით, ობით და სოკოთი დაბინძურების საშიშროების მქონე, ან დაბინძურებული ზედაპირების გასასუფთავებლად, ფოროვან და შემწოვ ზედაპირებზე, შიდა და გარე სამუშაოებისათვის, შემდგომი დამუშავების წინ.

**თვისებები**

- დეზინფექციას უკეთებს წყალმცენარეებით, ობით და სოკოთი დაავადებულ ზედაპირს
- ღრმად შემწოვი ეფექტით
- ამცირებს ზედაპირის შეწოვის უნარს
- მაღალი დიფუზიის უნარით
- პროდუქტის ტიპი: კედლის დამცავი საშუალება PT 10 (ბიოციდის რეგულაციის 528/2012/EU მიხედვით).

**მასალის შემკვრელი**

კათიონური სინთეტიკური დისპერსია

**შეფუთვის ზომები**

10ლ.

**ფერი**

გამჭირვალე

**შენახვის პირობები**

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას

**ტექნიკური პარამეტრები**

- სიმკვრივე: დაახლ. დაახლ. 1.0 გ/სმ3

**დამხმარე პროდუქტები**

Capatox

**მითითება**

ზედაპირის ძლიერი წყალმცენარეებით, ობით და სოკოთი დაბინძურების შემთხვევაში, ჩვენ გირჩევთ - კარგად გაწმენდილი ზედაპირი დამატებით დაამუშაოთ პროდუქტით: Capatox-ი, რათა მოხდეს სპორების დეზინფექცია ასევე, ზედაპირის ღრმა ფენებში.
გაშრობის შემდგომ შეწოვის უნარის დარეგულირება შესაძლებელია FungiGrund-ით.

**გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.**

| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
|---|---|---|---|---|
| + | + | + | + | + |

(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი

## გამოყენება

**შესაბამისი ზედაპირები**

ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი, სუფთა და ადჰეზიურობის ხელის შემშლელი ნივთიერებებისაგან თავისუფალი. სხვადასხვა ზედაპირებზე დატანის და ზედაპირების მომზადების ტექნოლოგიებზე ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ ინფორმაცია N.650-ში.




CAPAROL

**ზედაპირის მომზადება**

**მითითება: Q2/Q3 ფითხი / თხელი თაბაშირის ფილები < 0,5 მმ:** თაბაშირის შემცველი, ხარისხის Q2/Q3 - დონის ჰიდრავლიკურად შემავსებელი ფითხის გამოყენებისას, რეკომენდებულია გამჭვირვალე, წყლის ბაზაზე არსებული საგრუნტავი მასალის გამოყენება.

**დატანის მეთოდები**

სრული გამყარების ეფექტის მიღწევა შესაძლებელია მასალის ფუნჯით უხვად დატანისას, ზედაპირის სრულ გაჟღენთვამდე. ასევე შესაძლებელია მასალის სამღებრო გორგოლაჭით დატანა.

**პროდუქტი გამოიყენეთ მხოლოდ განუზავებელი.**

**დაფარვის თანმიმდევრობა**

ზომიერი შეწოვის უნარის მქონე ზედაპირებზე, დაიტანეთ განუზავებელი FungiGrund-ი ერთხელ.

ძლიერი შეწოვის უნარის მქონე ზედაპირებზე, დაიტანეთ განუზავებელი FungiGrund-ი უხვად ფუნჯით, "სველი-სველზე" მეთოდით, ზედაპირის სრულ გაჟღენთვამდე.
ზედაპირზე არ უნდა წარმოიქმნას, დახურული, მბზინავი აბკი.

**ხარჯი**

დაახლ. 150-250 მლ/მ2-ზე, დამოკიდებულია ზედაპირის სტრუქტურასა და შეწოვადობის ხარისხზე. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება სასინჯი დატანით.

**გამოყენების პირობები**

**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:**

ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5°C და მაქსიმალური +30°C.

**შრობის დრო**

20°C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში.
უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.

**ხელსაწყოების წმენდა**

სამუშაოს დასრულებისთანავე ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით და საპნით.

**მითითება**

FungiGrund-ი არ არის შესაფერისი ჰორიზონტალური ზედაპირებისთვის, რომლებიც ექვემდებარება წყლით დატვირთვას.

**თავსებადობა სხვა სამღებრო მასალებთან**

არ შეურიოთ FungiGrund-ი სხვა პროდუქტებს.

## შენიშვნები

**უსაფრთხოების რჩევები**

მოარიდეთ ბავშვებს!
შესაძლოა გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. მავნეა წყლის ორგანიზმებისთვის, ხანგრძლივი ზეგავლენით. ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ შეფუთვა ან ეტიკეტი. თვალები და კანი დაიცავით საღებავის შხეფებისგან. თვალში ან კანზე მოხვედრისას გულდასმით დაიბანეთ წყლით და საპნით. არ დაუშვათ პროდუქტის გარემოსა და ნიადაგში გაშვება.
**შეიცავს:** 2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი, 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-ის სარეაქციო მასა. იზოთიაზოლი -3-ონი [EC No. 247-500-7] და 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი [EC No. 220-239-6] (3:1). 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის და 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის ნარევი (3:1).

პროდუქტი ექვემდებარება ბიოციდური პროდუქტების რეგულაციას (EU) 528/2012. BAuA ნომერი: N-24781. ბიოციდის ტიპი: PT 10 - სამშენებლო მასალების დამცავი საშუალებები. გაითვალისწინეთ ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია.
**აქტიური ნივთიერებები:** მეოთხეული ამონიუმის ნაერთები, ბენზილ-C12-16-ალკილდიმეთილი, ქლორიდები (4.0 გ/ლ), 2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი (0.4 გ/ლ), ფრთხილად გამოიყენეთ ბიოციდური პროდუქტები.

**უტილიზაცია**

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებელია უტილიზირებულ იქნას როგორც საღებავის ან ლაქის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.

**VOC (აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)**

პროდუქტის კატეგორია ( Kat. A/h): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. < 15 გ/ლ VOC -ს.

**პროდუქტის კოდი**

GISCODE: BSW50

**შემადგენლობა**

პოლიაკრილატის ფისი, წყალი, დანამატები, კონსერვანტი (მეთილ ბენზიზოთიაზოლინონი).
ბიოციდური აქტიური ინგრედიენტები: 4.0 გ/ლ ბენზილ-C8-18-ალკილდიმეთილ ქლორიდი (CAS no. 63449-41-2); 0,5 გ/ლ ოქტილიზოთიაზოლინონი (CAS No. 26530-20-1)

**ტექნიკური კონსულტაცია**

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.



შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge